საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2495

2020 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 დეკემბრის №2459 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 დეკემბრის №2459 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს სახალხო დამცველს/საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელს.“.

პრემიერ-მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი გიორგი გახარია